საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/134 "7" ოქტომბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2020 წლის 30 სექტემბრის ორგანული კანონის შესაბამისად ახლებურად დარეგულირდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი. ამასთან, ამავე კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატები ითვლებიან გაწვეულებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-3 და მე-17 პუნქტების შესაბამისად:

1. დაიწყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანსიაზე განცხადებები ელექტრონული ფორმით მიიღება 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით.

3. ინფორმაცია შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ მიეწოდოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და ყველა ეროვნულ მაუწყებელს.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/27 განკარგულება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის